

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკისარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2

სრული შემოსავლის ანგარიშგება

3

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4-11

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა ი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>				
ძირითადი საშუალებები	5	1 125 634	1 132 233	1 237 063
არამატერიალური აქტივები	5	1 377	1 122	1 122
გაცემული სესხები			-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 127 011.00	1,133,355.00	1,238,185.00
<i>მიმდინარე აქტივები</i>				
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	6	21 126	37 127	30 310
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		23 494	15 850	8 941
გადახდილი ავანსები და სხვა		100 528	188 236	196 846
ფული და ფულის ექვივალენტები	7	78 737	47 403	9 633
სულ მიმდინარე აქტივები		223 885.00	288,616.00	245,730.00
სულ აქტივები		1 360 874.00	1,421,971.00	1,483,915.00
<i>კაპიტალი</i>				
საწესდებო კაპიტალი		722 173.00	722 173.00	722 173.00
გაუნაწილებელი მოგება		624 546.00	696 375.00	753 123.00
სულ კაპიტალი		1 346 719.00	1,418,548.00	1,475,296.00
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები</i>				
			-	-
<i>გრძელვადიანი სესხები</i>				
			-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები			-	-
<i>მიმდინარე ვალდებულებები</i>				
მიღებული ავანსები		9 403.00	-	5 444.00
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4 752.00	3 423.00	3 175.00
სულ მიმდინარე ვალდებულებები		14 155.00	3 423.00	8 619.00
სულ ვალდებულებები		14 155.00	3 423.00	8 619.00
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 360 874.00	1,421,971.00	1,483,915.00

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2019
შემოსავალი		798 291,00
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება		-52 988,00
საერთო მოგება/(ზარალი)		745 303,00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	-817 132,00
სხვა შემოსავალი		-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		-71 829,00
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი		-
ზარალი საკუროსო სხვაობიდან		-
არასაოპერაციო ხარჯები		-
არასაოპერაციო შემოსავლები		-
მოგება დაბეგვრამდე		-71 829,00
მოგების გადასახადი		-
წლის წმინდა მოგება		-71 829,00

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ბალანსი 31 დეკემბერი 2018	722 173.00	696 375.00	1 418 548.00
მოგება წლის განმავლობაში		-71 829,00	
გამოკლებული: დარიცხული დივიდენდი			-
ბალანსი 31 დეკემბერი 2019	722 173.00	624 546,00	1 346 719,00

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2005 წლის 29 მარტს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის მეწილეები არიან:

მესაკუთრე
203851233, თბილისის მერია

წილი
100%

კომპანია წარმოადგენს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკს. პარკი მდებარეობს თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, დ. აღმაშენებლის გ. №182

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2019

1 აშშ დოლარი/ ლარი	2.8677
1 ევრო/ლარი	3.2095

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეკომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2019 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, შესაბამის განმარტებით შენიშვნებს. კომპანია არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება კომპანიის მიმდინარე ხარჯში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების აღდგენა ან ჩანაცვლებასთან დაკავშირებით კაპიტალიზირდება.

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, შენობა-ნაგებობებს, დანადგარებს, ტრანსპორტს და ინვენტარს. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება.

იჯარა

კომპანია გააჩნია იჯარით აღებული ატრაქციონები, ასევე იჯარით გასცემს პარკში არსებულ ფართებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა, იმ შემთხვევაში თუ

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. საადრიცხო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები საადრიცხო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა საადრიცხო პერიოდის შემდგომ.

5. ძირითადი საშუალებები

ანგარიში +	ტიპი	დასახელება	საწყისი		გრუნა		გრუნის		საგოლო	
			დაგები	კრედიტი	დაგები	კრედიტი	საგოლო	დაგები	კრედიტი	საგოლო
2000	აქტ	გრუნდუმიანი აქტივები	1,182,998.30		23,324.80	79,312.14	55,987.34	1,127,010.96		
2100	აქტ	ძირითადი საშუალებები	1,720,989.07		22,506.89	347.57	22,159.32	1,743,148.39		
2121	აქტ	1000 ლარამდე ინვესტირება და სხვა	33,637.44		906.78	347.57	559.21	34,196.65		
2140	აქტ	ნაგებობები	1,115,265.72		4,186.97		4,186.97	1,119,452.69		
2145	აქტ	გრუნდუმიანი ნაგებობები	3,225.27					3,225.27		
2150	აქტ	მანქანა-დანადგარები	298,657.10		11,436.32		11,436.32	310,093.42		
2151	აქტ	სხვალი ატრასიონები	182,762.16		3,898.96		3,898.96	186,661.12		
2154	აქტ	გამოცემის სისტემა	4,826.26					4,826.26		
2160	აქტ	ოფისის აღჭურვილობა	4,056.25		53.39		53.39	4,109.64		
2161	აქტ	კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	7,006.99		822.02		822.02	7,829.01		
2170	აქტ	ავეჯი და სხვა ინვესტირება	228.81		538.98		538.98	767.79		
2171	აქტ	ინვესტირება	44,388.25					44,388.25		
2180	აქტ	სატრანსპორტო საშუალებები	15,908.39					15,908.39		
2190	აქტ	იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაცია	11,028.43		663.47		663.47	11,691.90		
2200	პას	ძირითადი საშუალებების მართვა		539,113.65	563.67	78,964.57	78,400.90		617,514.55	
2221	პას	1000 ლარამდე ინვესტირება მართვა		15,221.59	347.57	3,247.63	2,900.06		18,121.65	
2240	პას	ნაგებობების მართვა		273,979.38		36,380.90	36,380.90		310,360.28	
2250	პას	მანქანა-დანადგარების მართვა		167,113.29		14,293.58	14,293.58		181,406.86	
2251	პას	სხვალი ატრასიონების მართვა		29,576.05		21,167.27	21,167.27		50,743.32	
2254	პას	გამოცემის მართვა		1,268.54		284.62	284.62		1,553.16	
2260	პას	ოფისის აღჭურვილობის მართვა		1,895.53		125.84	125.84		2,021.37	
2261	პას	კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობების მართვა		4,102.64		719.51	719.51		4,822.15	
2270	პას	ავეჯი და სხვა ინვესტირების მართვა		109.57		44.92	44.92		154.49	
2271	პას	ინვესტირების მართვა		28,958.39		2,700.30	2,700.30		31,658.69	
2280	პას	სატრანსპორტო საშუალებების მართვა		12,096.87					12,096.87	
2290	პას	იჯარით აღებული ქონების კაპიტალიზაციის მართვა		4,791.81		216.10	216.10		4,575.71	
2500	აქტ	არამატერიალური აქტივები	1,122.88		254.24		254.24	1,377.12		
2590	აქტ	საგულისხმო პრემია და ორისი	1,122.88					1,122.88		
2591	აქტ	ლოგო გეგმირება			254.24		254.24	254.24		

6. სასაქონლო მატერიალური მარაგი

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-დეკ-19	31-დეკ-18
საქონელი	21,126	37,127.00
მცირეფასიანი		
დამხმარე მარაგი	21,126	37,127.00
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი		

შპს მუშთაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

7. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-19	31-დეკ-18
თანხა ბანკში	78 637.00	47 323.00
თანხა სალაროში	100.00	80.00
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	78 737.00	47 483.00

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2019
ხელფასები	409 963.00
იჯარის ხარჯი	254 237.00
ადმინისტრაციული	73 968.00
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	78 924.00
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	817 132.00

9. არასაოპერაციო შემოსავლები

2019 წელს კომპანია პერიოდულად აწარმოებდა ინვენტარიზაციას, რის შედეგადაც ზედმეტად აღმოჩენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგი არასაოპერაციო შემოსავალში იქნება აღებული.

10. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან ყველა ქართული კომპანიისთვის, გარდა ბანკების, სადაზღვეო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, რომელთათვისაც აღნიშნული კანონი ძალაში 2019 წლის 1 იანვარს შევიდა. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

შპს მუშათაიდის კულტურისა და დასვენების პარკი

2019 წლის 31 დეკემბერი

11. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

კომპანიის დირექტორი

ბუღალტერი

